ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 11

ქ. ხაშური 25 მაისი 2022 წელი

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტია ,,ს-1“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების“ განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად,

ერთის მხრივ ***სსიპ დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის #2 საშუალო სკოლა*** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ***თამარ მახათაძის*** სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,KNK კაენკა“ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის, გია კილაძის სახით, (შემდგომში - მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: (CPV 30200000)

1. ხელშეკრულების საგანი

როუტერი WIFI TP LINK C50, 1 ცალი, ფასით 110,00 ლარი (შემდგომში – საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **110,00 (**ასათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი თამარ მახათაძე.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება **2022 წლის 30 მაისის** ჩათვლით, რუსთაველის ქ. N95.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ***ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 30 ივნისის*** ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება და ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში. და უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. ამ შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი:

სსიპ დ.ავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის #2 საჯარო სკოლა
მის: *ქ.ხაშური, რუსთაველის ქ, # 95*
საიდენტიფიკაციო კოდი ***243874786***
ბანკი *ლიბერთიბანკის ხაშურის განყოფილება*
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ა/ა **GE49LB0121114845080000**
ტელ: ***0368 24 21 67***

დირექტორი *თამარ მახათაძე*

მიმწოდებელი:

შპს ,,KNK კაენკა“
მის: ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. N25
საიდენტიფიკაციო კოდი: 443858336
ბანკი სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE34BG0000000792234700
ტელ: 592 183854

დირექტორი გია კილაძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ხაშური 25 მაისი 2022 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ ***სსიპ დავით კაკიაშვილის სახელობის. ქალაქ. ხაშურის #2 საჯარო სკოლა***სა და შპს ,,KNK კაენკას“ ***დირექტორს გია კილაძეს*** შორის ***2022 წლის 25 მაისს*** გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისას არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე

პასუხისმგებელი პირი თამარ მახათაძე